სკოლის ტრანსპორტში ქცევის პოლიტიკა

თამარ არაბიძე
ადმინისტრაციული მენეჯერი

2 I. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა სკოლის ტრანსპორტით სარგებლობისას ქცევის ისეთივე მაღალი სტანდარტი უნდა გამოავლინონ, როგორიც სკოლის კედლებში. ეს პოლიტიკა მოიცავს ქცევის კოდექსს და სავარაუდო სანქციებს, რომელიც ამოქმედდება მგზავრობისას წესების დარღვევის საპასუხოდ.

ქცევის კოდექსში გაწერილი შემდეგი შემდეგი წესების დაცვა ევალება ყველა მოსწავლეს, რომელიც სარგებლობს სკოლის ტრანსპორტით:

- პატივი უნდა სცენ სხვა მოსწავლეების უსაფრთხოდ და სასიამოვნოდ მგზავრობის უფლებას;
- დაემორჩილონ მძღოლის მითითებებს შეკამათების გარეშე;
- არ დააზიანონ ავტობუსის ინვენტარი;
- ადგილებზე განთავსდნენ თიოთო-თითოდ;
- ისხდნენ დაკავებულ ადგილებზე მთელი მგზავრობის მანძილზე და შეიკრან უსაფრთხოების ღვედები თუ ასეთი არის ავტობუსში;
- ტრანსპორტიდან ჩასვლისას არ წამოდგნენ ავტობუსის სრულად გაჩერებამდე;
- არ ესაუბრონ და არ შეუშალონ ხელი მძღოლს;
- არ ისაუბრონ ხმამაღლა ან იხმაურონ ავტობუსში;
- მობილური ტელეფონი გამოიყენონ დაბალ ხმაზე;
- ავტობუსში არ მიირთვან საკვები ან სასმელი;
- დაუშვებელია უწმაწური სიტყვების, უხეში მიმართვების გამოყენება;
- დაუშვებელია ბულინგი, ჩხუბი და აგრესიული ქმედება;
- დაუშვებელია საგნების დაყრა ავტობუსში ან გადაგდება ფანჯრიდან;
- იკრძალება სკამებს შორის გასასვლელებში პირადი ნივთების დაწყობა;
- იკრძალება მგზავრობისას ადგილის შეცვლა;
- იკრძალება მგზავრობისას ფოტო-ვიდეო გადაღება, ხმის ჩაწერა.

სანქციები მიუღებელი ქცევის საპასუხოდ

მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას, დააწესოს სანქციები თუ მოსწავლე ავლენს მიუღებელ ქცევას სკოლის ტრანსპორტში. თუ მოსწავლის ქცევა საპასუხო რეაგირებას საჭიროებს, მოხდება ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა და სანქციების დაწესება.

სანქციები

მსუბუქი დარღვევა - წერილობითი გაფრთხილება ან სატელეფონო შეტყობინება მშობელთან.

საშუალო სიმძიმის დარღვევა – ტრანსპორტით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა 3 დღით.

სერიოზული დარღვევა – სასწავლო წლის დარჩენილი პერიოდის მანძილზე სკოლის ტრანსპორტით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა.

ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი პოლიტიკას, გავაცანი და განვუმარტე პუნქტები ჩემს შვილს.

მოსწავლის სახელი, გვარი

……

პროგრამა (საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამები, ამერიკული უმაღლესი სკოლა,ქართულიპროგრამა) …….

კლასი

……

მშობლის სახელი, გვარი

……..

ხელმოწერა

 ……